

2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომიდან დუბლინის ტრინიტი კოლეჯში (დუბლინის უნივერსიტეტი, ირლანდია) თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკი“ და „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა ტრანსფერისათვის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკის“ და „ფიზიკის“ საბაკალავრო პროგრამების შერჩეული წარმატებული სტუდენტების ტრანსფერის განხორციელება დუბლინის ტრინიტი კოლეჯში (დუბლინის უნივერსიტეტი, ირლანდია) მიმღები პროგრამების (მოდერაციული პროგრამები: „მათემატიკა“, „თეორიული ფიზიკა“, „ფიზიკა“, „ფიზიკა და ასტროფიზიკა“) მეხუთე 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომიდან.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

ნომინირებული სტუდენტები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებიც ვლინდებიან თსუ შესარჩევ კომისიასთან გასაუბრების შემდგომ. საბოლოო გადაწყვეტილებას სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით მიიღებს დუბლინის ტრინიტი კოლეჯი.

3. კანდიდატის შერჩევა

ა) კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

ბ) კანდიდატთა შერჩევის მიზნით ჩატარებული ინგლისური ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდის შედეგები სტიპენდიატთა შერჩევისას არ გამოიყენება, იგი მოითხოვება ტრინიტი კოლეჯში წარსადგენად ივლისისათვის.

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის/ გასაუბრების შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის/გასაუბრების შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა
ნომინირებული სტუდენტის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ კანდიდატთა შერჩევის გზით.